# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 19 სამშაბათი, 26 იანვარი 1910 წ. № 19

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეძირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან დღეების 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ბანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.


**ირაკლი ფილიპეს ძე თოფურიძე, ალათი და ეფროსინე ფილიპეს ასულნი იოსელიანისანნი** შვილებითურთ, **ბაბილინა მიხეილის ასული თოფურიძის, თამარ, ნიკოლოზ და გრიგოლ ირაკლის ასული და ძენი თოფურიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 25 იანვარს პირველი და მეორენი—საყვარელ მამის, მესამე—დაუვიწყარ მამამთილის, უკანასკნელნი—ძვირფას ბაბუას

### აზნაურ ფილიპე როსტომის ძე თოფურიძისას.

პ. ნაშვიდები ყოველ დღე, სოფელ აბაშაში. დაკრძალვა აბაშაში შაბათს, 30 იანვარს, დილის 9 საათზე. (2—141—1)

**ელენე ფარნაოზის ასული, თამარ, ქეთევან, გოგი და ელისაბედ ბახტაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას ქმრის, დანარჩენნი საყვარელ მამის

### ერისტო დავითის ძის ბახტაძისას.

გამოსვენება ხონში ხუთშაბათს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე. (2 ფ.—1)

**კნ. ნატალია ოტიას ასული ქორქაძე, თავ. ანტონ მაქსიმეს ძე და მაქსიმ ალექსანდრეს ძე ქორქაძენი** გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც **თავ. ალექსანდრე მაქსიმეს ძე ქორქაძის** გარდაცვალების გამო ნუგეში სცა მათ, დაკრძალვაზე დასწრებით თუ დეპეშის გაგზავნით. (1—ნ.—1)



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 26 იანვარს, 1910 წ., დიდი წარმოდგენა. **ჭიდაობა საერთა-შორისო ჩემპიონი.** პრიზები დანიშნულია 5000 ფრანკი, საპატიო შარფი, ოქროსა და ვერცხლის მედლებია. დღეს სამი ჭიდაობა: **1. ჰაჯი-მურზუკ—ხორუნჟი; 2. ბამბულა—კრესტიანინოვი; 3. მილლერი—კარსაცი.** მოჭიდავების გამოსვლა და ჭიდაობა მოხდება მე-3 განყოფილებაში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

(1—140—1) დირექტორი **ა. ნიკიტინი.**
გამგე **გამსახურდია.**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

- **ვ. ვაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
- **ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—255)

წარმოდგ. № 30-31. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30-31.

**შაბათს, 30 და კვირას, 31 იანვარს 1910 წელს**

**გასტროლი ქ-ნ ნინო ჩხეიძისა, ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანისა.**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ახალი პიესა **ვასილ ყიფიანისა**

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ი. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. მოთაძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ქივიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე, კ. ყიფიანი.

ამ პიესისათვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „შურის ძიების ღმერთი", „დრამატიული გამგეობის წევრი" ი. გომართლისა.

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

- **ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
- **გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
- **გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
- **კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
- **მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
- **ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
- **მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
- **მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
- **მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
- **ფირაძოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
- **პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
- **რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
- **სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—93)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სნენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭიერ მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—91)

**ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო თ ე რ ა პ ი ა — ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ვ.—16)

**ექიმი შ. მიქელაძე**
**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—9)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი**
**ქ უ თ ა ი ს შ ი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—ვ.—7)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**
**ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**
იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—22

**ექიმი კბილისა ქუთაისში**
**ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—351)

**ექიმი გ. მაგაკიანი**
**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—80)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლღას ქუჩა N 25.

**ექიმი დ. ახვლედიანი**
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—84)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი**
**ქ უ თ ა ი ს შ ი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—100)

**ექიმი მ. დ ბ ე თ ა ნ ო ვ ი**
**ქ უ თ ა ი ს შ ი,**
მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—1)

## ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის საზოგადოება.

კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით აბასთუმანში არსდება ყველასათვის ხელ-მისაწვდენი სანატორია—100 ჭლექიანისათვის. სანატორია საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და შემოღებული იქნება ყველა ახალი მეთოდი. ფულის მოკრების შემდეგ, რომელიც საჭიროა საქმის თან და თან განსახორციელებლად, საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგება სანატორიის მოწყობას.

შემოწირულებანი მიიღება საზოგადოების თავმჯდომარესთან კნ. მ. მ. თუმანოვთან—პასკევიჩის ქ. N 6, გამგეობის წევრებთან ექ. მ. ნ. ვასილოვზოროვთან—კირპიჩ. შეს., ექ. ს. ი. ვაწაძესთან—პეტერბ. ქ., N 9, ექ. ი. ზ. გოპაძესთან—მაღლ. ქ. N 4, ექ. ვ. დ. ლამბაშიძესთან—ვოლოვ. პრ, N 8, ი. მ. დოლუხანოვთან—პასკევ. ქ. N 6, ექ. ბ. ა. ზავრიევთან—განოვ. ქ. N 3, ექ. კ. ა. კრესტოვნიკოვთან—აბასთუმანში, ექ. ა. ა. მუხარინსკისთან—ველიამ. N 3, ექ. მონინთან—ქალ. სამშ სახლ., ექ. ი. ი. ოსტროვსთან—მიხეილ. ქ. N 106, გ. ნ. სტეფანოვთან—ახალ-ბებ. ქ. N 1, ექ. ნ. ზ. უმიკოვი—განოვ. ქ, N 15, ექ. მ. გ. ფიდოროვი—ელისაბ. ქ. N 100, ექ. ა. ი. ხატისოვთან—ქალაქის გამგეობა. (5—3)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—43

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

◀ **ვექილობა დაცვას** ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; გამლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—29)

## ცინკოგრაფია ქართვ. გამომცემელ ამხანაგობისა

ამზადებს ცინკოგრაფიულ კლიშეებს. კლიშიებს ცინკოგრაფია ამზადებს სუფთად და დროზე. ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა. (2—ნ.—1)

◀ **უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად** ▶

## მანდემილის

**თხზულებაზე—არის 25 იანვარი.** ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა), „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი **25 კაპ.** (6—ნ.—5)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24-25 იანვარი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** 3 თებერვალს პეტერბურგში გაემგზავრებიან სენატორი ესტურნელ-დე-კონსტანი, რადიკალი პოლ ლერუ, კონსერვატორი ჟენუვრი, ლიბერალები კოლლენი და ლარკიე, რადიკალები დელაბატიუ და პულანი, რესპუბლიკანელი დეგრანმეზონი და პროგრესისტი დელიონი.

**ადენი.** სამალში არეულობა დაიწყო. ადგილობრივმა მკვიდრებმა მოჰკლეს ინგლისის ბევრი ქვეშევრდომი და გაიტაცეს რამდენიმე ათასი აქლემი.

**ბერლინი.** ლიბერალურ პრესსას არ მოსწონს ახალი საარჩევნო კანონი. გაზეთების აზრით ახალი საარჩევნო კანონი ხალხის ინტერესების წინააღმდეგი და უშინაარსოა, ახალი საარჩევნო კანონი პურის მაგიერ ქვას გვაძლევსო. სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ფორვერტსის" აზრით სამინისტრომ ახალ საარჩევნო კანონის გამოცემით ხალხს ომი გამოუცხადა. კონსერვატორების გაზეთებს ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი.

**კალკუტტა.** ჯერ არ დაუმტკიცებიათ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა. კანონ-პროექტით ფოსტა ტელეგრაფის უწყებას უფლება აქვს დაიჭიროს ის გაზეთები და წიგნები, რომლებიც საეჭვოდ მიაჩნია. ამას გარდა ადმინისტრაციას უფლება აქვს თუ საჭიროდ დაინახავს კონფისკაცია უყოს ამა თუ იმ გაზეთს და წიგნს.

**სიდნეი.** გაფიცული სამთა-მადნო მუშები შეეცადნენ რკინის გზის ხიდის აფეთქებას. ეს რკინის გზის ხიდი აბერდარის მაღაროების ახლოა. მუშებმა თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ხიდი თუმცა დაზიანდა, მაგრამ ძალიან ცოტად.

**ბერლინი.** სამხედრო ლიგის წარმომადგენელი ვენიზილოსი ათინაში წავიდა, საიდანაც კრიტეზედ წავა.

**პარიზი.** თავი ჩამოიხრჩო ელისაბედ ეფრონმა და მისმა 14 წლის შვილმა. ეფრონი სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაციის წევრი იყო.

**ბერლინი.** კონსერვატორების გაზეთები ძალიან თავდაჭერილად მსჯელობენ ახალ საარჩევნო კანონზე.

**პარიზი.** სენატორი ესტურნელ-დე-კონსტანი იუწყება, რომ პეტერბურგში პოლ ლერუს, ჟენუვრის, კოლლენის, ლარკიეს, დელაბადიუს, პულანის, დეგრანმეზონის დელიონის გარდა წავლენო: პროგრესისტი გრაფი დალზასი, რადიკალი გასტუნი მენიე და რადიკალი ჟერვეჟ. ლარკიეს მაგიერ პეტერბურგში წავა რადიკალი ვიგურუო. მდივნად იქნება ნაფიც-ვექილი ფრომაჟო, ჰააგის მეორე კონფერენციის იურისკონსულტად ნამყოფი.

მინისტრთა საბჭოში გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა განაცხადა: ინგლისის, რუსეთის და იტალიის მიაკრობებმა სახელმწიფოებს შეატყობინეს, ეს და ეს ზომებია საჭირო, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შეტაკება არ მოუვიდეთო. კრიტის მფარველ-სახელმწიფოებმა მოიწონეს ეს წინადადება და მალე ოფიციალურად კრების აღმასრულებელ კომიტეტს შეატყობინებენ ამასო. პიშონის აზრით, ოსმალეთის ლჩის განცხადება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდება.

**სალონიკი.** სულთანმა ბოლგართა რაზმის უფროსს დინგას, ხუთ რაზმელს და ორ სახალხო მასწავლებელს სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით შეუცვალა.

**ინდიანა.** პენსილვანიის შტატის ქვა-ნახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკვდა 11 კაცი.

**ს პ ა რ ს ე თ ი**

**თეირანი.** მეჯლისის მოთხოვნით გადადგა გარეშე საქმეთა მინისტრი. მინისტრის თანამდებობას დროებით ასრულებს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი სამათულ-მულკა. ამბობენ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნება მოტამინულ-მულკა, მუშირუდ-დოულეს ძმა.

**ჰაერში ფრენა**

**მურმელონ-ლე-გრანი.** სამხედრო კომისია დაესწრო სამხედრო ბიპლანის გამოცდას. ბიპლანით გაფრინდნენ ფარმანი, ფანდენბორნი და ეფიმოვი. კომისიამ მოიწონა ბიპლანი.

**პარიზი.** მთავრობამ ჯარისთვის შეიძინა რაიტის ოთხი ჰაეროპლანი.

**რ უ ს ე თ ი**

**ოდესსა.** ადგილობრივ უნივერსიტეტის 28 პროფესორმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც პროტესტს უცხადებს გერმანელ პროფესორებს, რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერივნენო. მართალია, სწერენ პროფესორები, ჩვენ ძალიან

ვფიქსებ და პატივსაც ვცემ გერმანელების ეროვნულ თვით-შეგნებას და მეცნიერებას, მაგრამ მაინც პროტესტს უცხადებ იმათ, რომლებიც მოტყუებით სხვის საქმეში ჩერებიან. ფინლიანდიის კულტურას და თვით-მართველობას არავითარი შიში არ მოელის და არც არავის სურს მათი მოსპობა. მხოლოდ ერთს ვერ მოითმენს რუსეთი, რომ ფინლიანდია, რუსეთის ხალხის სისხლით დამყარებულ ფინლიანდიას სახელმწიფოში რაღაც სახელმწიფოდ გადაიქცევს. რუსეთის ხალხს არავისი დარიგება არ უნდა და თვითონ შესძლებს ფინლიანდიის საქმეების მოწესრიგებასო.

**ხარკოვი**. სამოსამართლო პალატამ გაარჩია უბნის ზედამხედველად ნამყოფის ვლადიმირ ლაგოვსკის საქმე. ჰბრალდებოდა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება. მათ შორის, რევოლიუციონურ ორგანიზაციების სახელით ყალბ წერილების შედგენა, არალეგალურ ლიტერატურის სხვის სახლებში მიტანა და შემდეგ გაჩხრეკა და დაპატიმრება, ამას გარდა ლაგოვსკიმ რამდენჯერმე თავის უფროსებს ტყუილად შეატყობინა, რომ რევოლიუციონერმა ჩემი მოკვლა განიზრახეს; რამდენჯერმე შესრიალეს. მაგრამ ამაოდაო სასამართლომ ლაგოვსკის ოთხი წლით ტუსაღთა განყოფილება გადაუწყვიტა. სასამართლომ დააკმაყოფილა ერთი სტუდენტის საჩივარი, ლაგოვსკიმ არალეგალური ლიტერატურა მაიტანა ჩემ სახლში და შემდეგ დამაპატიმრა, რის გამოც 105 მანეთის ზარალი მომივიდაო.

**პენზა**. სადგურ ვოლიკოვის ახლო სამგზავრო მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა, დაიმტვრა 8 ვაგონი. მძიმედ დაშავდა და მალე გარდაიცვალა კონდუქტორი.

**მოსკოვი**. გიანტეს ქარხანაში 20 მუშა-ქალი შხამიანი გაზით მოიწამლა. არავინ გადაცვლილა.

**ლოძი**. პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო არალეგალური კანტორა „რუსეთის მანჩესტერი“. კანტორა რუსეთში სამანუფაქტურო საქონლის რეკლამებს და პრეისკურანტებს ავრცელებდა. გაჩხრეკის შემდეგ პოლიციამ ბევრი საბუთის ქაღალდი წაიღო.

**ჰელსინგფორსი**. ფინლიანდიაში დიდი ამბით იდღესასწაულეს მგოსნის რუნებერგის დაბადების დღე.

**ასტრახანი**. შავი ჭირისაგან გარდაიცვალა 1 კაცი.

**კიევი**. დმიტრიევის ქუჩაზე 8 შეიარაღებული ბოროტმოქმედი შევარდა ლოდის ქარხნის პატრონის შტეინის სახლში. ამ დროს შტეინის სახლში იყვნენ შტეინი ცოლით, ორი სტუდენტი, ხუთი კურსისტ-ქალი და მოსამსახურეები. ბოროტმოქმედებმა წაიღეს 400 მანეთის ნივთები და ფული.

**ასტრახანი**. სადგურ ასტრახანს პირველის ერთის ვერსის მანძილზე ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. მსუბუქად დაშავდა კონტროლიორი და ერთი მგზავრი.

**კიევი**. სასამართლო პალატამ გაარჩია ფოსტის მოხელის ლაბუნკოს საქმე. ჰბრალდებოდა 14,000 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ ყოველივე უფლებების ჩამორთმევის შემდეგ ლაბუნკოს სამი წლით ტუსაღთა განყოფილება მიუსაჯა. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს უმოქმედობისათვის სასტიკი შენიშვნა მიეცა, გაამართლეს უფროსის თანაშემწე და ორი მოხელე.

## არჩევნები ფინლიანდიაში

**ჰელსინგფორსი**. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 110,577, სტაროფინებმა—75,545, მლადოფინებმა 39,393, შვეციის სახალხო პარტიამ 39,150, აგრარიებმა 19,247, ქრისტიანმა მუშებმა—5803 ხმა.

**ჰელსინგფორსი**. უკანასკნელ ცნობებით სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 168,819, სტაროფინებმა—100,252, მლადოფინებმა 56,558, შვეციის სახალხო პარტიამ 56,610, აგრარიებმა 32,196 ხმა.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **მარიამ დემურიას დაკრძალვა**. კვირას, 24 იანვარს, დაკრძალეს ცხედარი მარიამ დემურიასი. ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ხალხი მაინც მრავალი დაესწრო. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. 12 საათი იქნებოდა, ცოცხალის ყვავილებითა და გვირგვინებით შემკული კუბო ტაძრიდან გამოასვენეს ხელით და სამგლოვიარო პროცესია გაემართა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოსაკენ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ყ. თავდგირიძემ, რომლითაც დაახასიათა განსვენებული როგორც საზოგადო მოღვაწე. პროცესიამ გაიარა მიხეილის ქუჩა და შეუხვია მილიუტინის ქუჩაზე. ავჭალის სახალხო აუდიტორიის წინ ცხედარი მცირეს ხნით შეაჩერეს. გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი. აქ სცენის-მოყვარეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა გ. ანანიაშვილმა. ორი საათი იქნებოდა სამგლოვიარო პროცესია კუკიის სასაფლაოზე ავიდა. ცხედარი ეკლესიის წინ დაასვენეს. აქ გადაიღეს სურათი და შემდეგ წარმოითქვა სიტყვები. „ნაკადულის“ რედაქციის მხრით მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ვახტანგ ლამბაშიძემ, სიტყვის დასასრულს „ნაკადულის“ რედაქციის სახელით აღთქმა დასდო განსვენებულს, რომ რედაქცია ყოველივე ღონეს იხმარს და განაგრძობს იმის რედაქტორობით მკვიდრს ნიადაგზე დაყენებულ საბავშვო ჟურნალის გამოცემას. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს კავკასიელ ქალთა საზოგადოების სახელით ქ-ნმა ტყეშელაშვილმა, ბ-ნ ჯავახიშვილმა, ლორთქიფანიძემ მუშების სახელით, ი. იმედაშვილმა. საფლავის წინ სიტყვა წარმოსთქვა მამა კარბელაშვილმა. სამ საათზე ხალხი დაიშალა. განსვენებულის ცხედარი შეამკეს გვირგვინებით: წ. კ. საზოგადოების გამგეობამ, დრამატიულმა საზოგადოებამ, ქალაქის თვით-მმართველობამ, სათავად-აზნაურო გიმნაზიამ, პატარა მკითხველებმა, წარმოდგენების მართველმა წრემ, „დროებამ“, „ნაკადულმა“ სომხურმა სცენის მოყვარეებმა, ნაცნობებმა და პატივისმცემლებმა. სომხურ საყმაწვილო ჟურნალის „ჰასკერის“ რედაქციამ, გვირგვინის ნაცვლად 15 მანეთი გადასდო „ნაკადულის“ სამი ცალის გამოსაწერად ქართულ ღარიბ დაწესებულებისთვის (სკოლისა, სამკითხველოსა ან სხვასთვის). განსვენებულ მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო მრავალი სამძიმრის დეპეშა მოვიდა. მიღებულ იქმნა შემდეგი დეპეშები: ბაქოდან—წ.-კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებისა, გაზეთ „მარცვლისა“, ქალთა წრისა და თაქთაქიშვილისაგან; ქუთაისიდან—რ. კანდელაკისა, ნატალია ლორთქიფანიძისა, ნიჟარაძისა და ი. კვიცარიძისაგან; ბათუმიდან—ს. ნაკაშიძისაგან; ცხინვალიდან—ნ. და ი. მაჭავარიანებისაგან; სოხუმიდან—წ.-კ. საზოგადოების სოხუმის განყოფილებისაგან; ახალციხიდან—ქართველ საზოგადოებისაგან; თელავიდან—პაატაშვილისაგან; მოსკოვიდან—სოფიო ჯიჯავაძისა, ცაცა ამირაჯიბისა, გრიგოლ ლალიძისა და დავით კარიჭაშვილისაგან; ლიეჟიდან—ქართველ სტუდენტებისაგან; კასპიდან—ანას რ. ამილახვრისაგან; ქვათურიდან—ქალთა სასწავლებლისაგან; ეკატერინენფელდიდან—გენო და დავით ქარუმაშვილებისაგან.

✦ **ეგზარხოსის მოსვლა**. 25 იანვარს ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს ახალი ეგზარხოსი, მთავარ ეპისკოპოსი ინოკენტი. დილის ათი საათი იქნებოდა, მოვიდა ბაქოს მხრიდან მატარებელი. ვაგონიდან ეგზარხოსი სამეფო დარბაზში შევიდა, სადაც მიეგებნენ ადმინისტრაციის, თავად-აზნაურობის და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი. გარედ ამქრების უსტაბაშები იდგნენ თავიანთის ნიშნებით. სადგურზე ეგზარხოსი ღია ლანდოში ჩაჯდა და მიხეილის ქუჩით, ვერის ხიდით და გოლოვინის პროსპექტით გაემართა სიონის ტაძარში. ეგზარხოსს წინ მიუძღოდნენ პოლიცმეისტერი, ცხენოსანი ყაზახები, ხოლო ლანდოს მისდევდნენ ცხენოსან ჟანდარმთა რაზმი. ადმინისტრაციის განკარგულებით, ქუჩებში გამწკრივებულნი იყვნენ ყველა სასწავლებლის მოსწავლენი. სიონის ტაძარში ხალხს ბილეთით უშვებდნენ. 12 საათზე სიონის ტაძარი უკვე სავსე იყო ქალაქის სამღვდელოებითა და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლებით. ეგზარხოსს სიტყვით მიესალმა ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლ. ტაძარში გადახდილ იქმნა მცირე პარაკლისი, რომლის შემდეგ ეგზარხოსმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გამოხატა, რომ იგი მთელს თავის ძალ-ღონეს მოანდომებს ქრისტეს ძირითად და დიდებულ მცნების—სიყვარულისა და მშვიდობიანობის—განმტკიცებას კაცთა შორის, რადგან ქრისტიანობის წინაშე არ არის არცა ურია, არც ელინი, არც ბარბაროსი, არც ბატონი და არც მონაო. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და საერთოდ უნდა ვცდილობდეთ ქრისტეს მოძღვრების შეთვისება-განმტკიცებასა და განხორციელებასაო. სიონის ტაძრიდან ეგზარხოსი სამღვდელოებითურთ ლიტანიით ეგზარხ. სასახლეში გაემგზავრა. მცირე პარაკლისის შემდეგ დარბაზში ეგზარხ. წარუდგნენ სასულიერო, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სხვათა შორის ეგზარხოსს სიტყვით მიმართა ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა, რომელმაც მიულოცა კარგად ჩამოსვლა და ისურვა, რომ ახალმა ეგზარხოსმა წამალი დასდოს საქართველოს ეკლესიის ჭრილობებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნებათა სოლიდარობას და კეთილ განწყობილებასაო. პატრიოტულმა საზოგადოებამ ეგზარხოსს მოაგონა „თავისი მოღვაწეობა სარწმუნოებისა და მთავრობის წინაშე“ და კურთხევა გამოსთხოვა. ეგზარხოსმა უპასუხა პატრიოტულ საზოგადოების დეპუტატებს: კარგად ვიცი თქვენი მოღვაწეობა; თქვენს ორგანიზაციას დროული და წარმავალი ხასიათი აქვს. თქვენ უნდა მუდამ უცვლელ და მტკიცე ნიადაგს მიმართოთ. ეს არის ქრისტეს მცნება მოყვასთა სიყვარულისაო. ნაშუადღევის 2 საათზედ ეგზარხოსი სადარბაზოდ ეწვია კავკასიის ნამესტნიკს. ნამესტნიკმა გუშინვე გადაუხადა დარბაზობა.

✦ **ბოქაულის საქმე**. 23 იანვარს გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე გორის ბოქაულად ნამყოფის ტროფიმ გოვოროვისა. გოვოროვს ჰბრალდებოდა სამსახურის დროს ქრთამების აღება, ქრისტესიაშვილის უმიზეზოდ ცემა და სხვა უკანონო საქმეების ჩადენა. სასამართლომ გოვოროვი ქორქაძისაგან 50 მანეთ ქრთამის აღებაში დამნაშავედ იცნო. სასამართლომ მიუსაჯა ქრისტესიაშვილის ცემისთვის 50 მან. ჯარიმა ან ათი დღით დაპატიმრება, ხოლო 50 მანეთის ქრთამის აღებისათვის ორი თვით სამხედრო საპატიმროში დაპატიმრება.

✦ **ჟანდარმთა უფროსი**. ტფ. გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის უფროსად დაუნიშნიათ მოსკოვის საიდუმლო პოლიციის უფროსის თანაშემწე პოდპოლკ. პასტრიულინი.

✦ **ყარსის საქალაქო დებულება**. „ზაკუ“-ს სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს ცენტრს ამ დღეებში განუხილავს სახ. სათათბიროს მიერ მიღებული კანონ-პროექტი ყარსის საქალაქო დებულების შესახებ. ცენტრს განუხილავს ნამესტნიკის აზრი ყარსში ეროვნულ კურიების შემოღების შესახებ. ნამესტნიკი წინააღმდეგია ასეთ კურიებისა, მაგალითი არა ყოფილა, რომ ადგილობრივ მკვიდრი რუსი დაეჩაგროთ, ამიტომ ამნაირ კურიების შემოღება მხოლოდ შუღლს ჩამოაგდებს მათ შორისაო. ცენტრმა დაადგინა სრულიად უარ-ჰყოს კანონ-პროექტი და ამით თავიდან აიცილოს მთავრობასა და ნამესტნიკს შორის მოსალოდნელი უთანხმოება.

✦ **დრამატ. საზოგადოების კრების გადადება**. შაბათს, 24 იანვრისთვის დანიშნული საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა არ შესდგა და გადაიდო 31 იანვრისათვის.

✦ **ციმბირიდან გამოპარვა**. სოფ. ზარი კოსტომანში (გორის მაზრა) შეიპყრეს ანდრია წიკლაური და გორის ციხეში დააპატიმრეს. როგორც გამოირკვა, წიკლაურს ამ რამდენიმე წლის წინად ქურდობისთვის ციმბირში გაგზავნა ჰქონია გადაწყვეტილი. ციმბირში წიკლაურს 2 წელიწადი დაუყვია და მერე გამოპარულა. თიანეთში იმავე წელიწადს იგი სალდათებს დასცემია და რამდენიმე სალდათი დაუჭრია. ამის გამო ისევ დაუჭერიათ. ამ საქმეში ოლქის სასამართლოს გაუმართლებია, ხოლო ციმბირიდან გამოპარისთვის სამი წლით კატორღა გადაუწყვეტია. წიკლაურს სამი წელიწადი კატორღაში უმუშავნია და შემდეგ ისევ ციმბირში (იაკუტსკის გუბ.) დაუსახლებიათ. აქედან მკათათვის შუა რიცხვებში ისევ გამოპარულა. ეხლა კვლავ შეიპყრეს. წიკლაური 60 წლის მოხუცია.

✦ **საექიმო ნაწილის უფროსი**. პეტერბურგის გუბერნიის საექიმო ინსპექტორი ფერნერი, „კასპის“ სიტყვით, ინიშნება კავკასიის საე-

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

„როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით“.

9.*)

საყვარელია პლატონი, მაგრამ კიდევ უფრო საყვარელია ჭეშმარიტებაო,—იმეორებს მოწინავე კაცობრიობა თაობიდან თაობამდე ფრაზას, რომელშიაც იხატება მისი ღრმა მოწიწება უდიდეს ადამიანურ ღირებულებისადმი, კიდევ უფრო ძვირფასისადმი, ვიდრე გონების ყველა კერპი ერთად აღებული. აი, ამ „საყვარელ ჭეშმარიტების“ სახელით უნდა ვაღიაროთ, რომ პლატონიზმისაგან გამომდინარე ეთიური მიმართულება, რომელმაც ეს ცხოვრება დაამცირა და შეაჩვენა ან საიქიო იდეალებისთვის მზადებად გარდააქცია, ყოვლად უსაფუძვლოა თეორეტიულად, ხოლო ძლიერ სახიფათო პრაქტიკულად. შევჩერდეთ ცოტათი პირველს, ჩვენთვის აქ ნაკლებ მნიშვნელოვანს, მხარეზე.

ცხადია, უკვდავება აუცილებელი წინასწარი მოსაზრებაა იმ მორალისთვის, რომელიც რადიკალურად უარყოფს დროულს არსებობას და თავის განსახორციელებლად და დასამთავრებლად საიქიო მარადისობისკენ უთითებს. სულის უკვდავებაა საფუძველი იდეალურ სისრულისა.

სამი საბუთი მოიყვანა პლატონმა სულის უკვდავების დასამტკიცებლად თავის იმ დიალოგში, სადაც მხატვრულის სიძლიერით აღწერა სოკრატის უკანასკნელი წუთები სატუსაღოში. ყოველი მსოფლიო მოვლენა, ამბობს ერთი საბუთი მოკლედ, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთგვარის არსებობიდან მეორე, სავსებით მოწინააღმდეგე არსებობაში გადადის; სულის ამ ქვეყნიურს ცხოვრებას წინ უძღოდა სავსებით განსხვავებული ყოფნა იდეათა სამეფოში და ნამდვილ არსთა ცქერა: ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ყოველი სწავლა არის არა ახალის შეძენა, არამედ ძველის, უკვე ნაცნობის გახსენება. ამიტომ ამ ქვეყნიურს ცხოვრებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ხელახლა მისი მოწინააღმდეგე საიქიო ყოფნა. მეორე არგუმენტი ცოტათი უფრო ძლიერია: რაიმეს მოსპობა უსათუოდ რთულ საგნის შემადგენელს ელემენტებად დაშლაა; ყოველივე უბრალო კი მუდმივ დაუშლელია და მაშასადამე, უკვდავი: ასეთია მხოლოდ იდეა, არსებულის საძირკველი და ასეთივეა, მაშასადამე, სულიც, რომელიც მას სცნობს იმიტომ, რომ ერთმანეთის ცნობა შეუძლიანთ მხოლოდ მონათესავე ძალებს. მესამე საბუთი კონდრადიქტორულ წინააღმდეგობის დებულებიდან გამომდინარეობს: სული ცხოვრების პრინციპი, სიკვდილი კი ცხოვრების სრული წინააღმდეგობა, ამიტომ არ შეიძლება, რომ სული მისი მონაწილეც იყოს. „და ამ გვარად, თქვენ, მამაკაცნო, ეს ღირსია ყურადღებისა, რომ თუ სული უკვდავია, ის ზრუნვას და მოვლას საჭიროებს არა მარტო იმ დროისთვის, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვუწოდებთ, არამედ მთელი ჟამისთვის და კადნიერების მთელი საშინელებაც საკმაოდ მაშინ გამოჩნდებოდა, რომ ვინმეს ეს გარემოება დაევიწყებინა“.

მთელ ამ არგუმენტაციის წინააღმდეგ საკმაო მოკლედ ის განვიმეოროთ, რაც კანტმა საზოგადოდ ონტოლოგიურ მეთოდის წინააღმდეგ სთქვა. რაიმე შესაძლებლობა აზროვნებაში სრულიადაც არ მოასწავებს მის არსებობას ან, მით უმეტეს, აუცილებლობას სინამდვილეში. ცენტავრები, ჰანები, ნიმფები და სხვა ლეგენდარული არსებანი აზროვნებაში თავისუფლად თავსდებიან და არც არავითარს რაციონალურს ან სილლოგისტურს ლოგიკას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ აქედან მათი რეალობა სრულიადაც არ გამომდინარეობს. საგნის ცნებისაგან ვერ სოდეს ამავე საგნის არსებობას ვერ გამოვიყვანთ, იმიტომ რომ არსებობა არ არის პრაქტიკული ან თვისება ცნებებზე აშენებულ სპეკულატიურ აზროვნებისა. „მამაკაცის თავი“ ან „დედაკაცის ზედატანი“, როგორც ცნებანი, ლოგიკურად სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან „მერანის სხეულს“, „თხის ფეხებს“ ან „თევზის კუდს“, მაგრამ ეს გარემოება კიდევ არა კმარა, რომ სინამდვილედ ვაღიაროთ ის ფანტასტიური არსებანი, რომელთაც განვითარებულ შეგნებისთვის მხოლოდ სიმბოლისტურ პოეზიაში ან მხატვრობაში აქვს ადგილი. რაიმე ნივთის არსებობა მხოლოდ მაშინაა სარწმუნო და დასაბუთებული, როცა იგი მთელს ჩვენ გამოცდილების ურთიერთობაში იმყოფება და იმის სხვა ნაწილებს ეთანხმება. მხოლოდ ემპირიულს დამოკიდებულებას შეუძლიან შეურყევლად დაამტკიცოს რაიმე ცნების, წარმოდგენის ან საგნის სინამდვილე. ონტოლოგიურ მეთოდის მიმდევარს კი სრულიად უსაფუძვლოდ ჰგონია, რომ თუ კი მან რაიმე ცნება შინაგან წინააღმდეგობათან გაანთავისუფლა ან უშეცდომოდ განიზრახა, ამით უკვე ამ ცნების რეალობაც უზრუნველყოფილია. მაგრამ სავალალო ის არის, რომ მშვენიერი ქალის მკერდს და თავს ოქროს ქერტლიან თევზის ბოლო მაინც არ მოებმება, თუმცა ჩვენ შეიძლება ძლიერაც გვენატრებოდეს ზღვის ცელქ დედოფალის ნახვა, ხოლო მომაკვდავი უკვდავად არ გადაიქცევა, თუმცა ჩვენ შეგვიძლიან ბევრსაც ვეცადოთ სულის და უკვდავების ცნების ურთი-ერთს შორის ლოგიკურად დაკავშირება.

რაც შეეხება კანტს, მისთვის უკვდავებაც, ღვთაებაც და ნების თავისუფლებაც პრაქტიკულ გონების პოსტულატები არიან, სულიერი მოთხოვნანი ზნეობრივ ხასიათისა და მათი თეორეტიულად დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია. რწმენის საქმეა უკვდავება, გულწრფელ რწმენის წინაშე კი მეცნიერული კრიტიკა სდუმს. ამიტომ ჩვენც ამ ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებას მივაქცევთ, რომ როგორც პლატონი, ისე კანტიც პირად უკვდავების შესახებ ლაპარაკობენ, ეს საკითხი კი ნაკლებ საყურადღებოა თანამედროვე ზნეობრივ შეგნებისთვის.

ჩვენი მორალური გრძნობა თავისუფალია პიროვნების ღირებულების გადაჭარბებისაგან, რომელიც ასე დამახასიათებელია მეთვრამეტე საუკუნის აზროვნებისა და მასთან ერთად კანტისათვის. ჩვენ დღეს ობიექტიურს სულიერს კულტურას ბევრად უფრო ვაფასებთ, ვიდრე თუნდ უკეთილშობილესს პიროვნებას და პლატონის და კანტის ნაწარმოებთა მომავალი უფრო გვაფიქრებს, ვიდრე მათის შემქნელთა საიქიო არსებობა. ჩვენ ნაკლებად გვაწუხებს ის აზრი, რომ შეიძლება „სათნოიანი“ ათინელი ბრძენი ან „ვალდებულობით გამსჭვალული“ პრუსიელი ფილოსოფოსი ვერ სტკბებიან უკვდავებით და ნეტარებით იდეათა სფერებში; ის აზრი კი, რომ ერთხელ მთელს კაცობრიობასთან და სულიერს კულტურასთან ერთად მათი სიბრძნეც უნდა მოისპოს, აუტანელია და შემაძრწუნებელი. იმ ფაქტს, რომ ყოველს წუთთან მიაქვს ასი და ათასი ადამიანური ცხოვრება, სამუდამოდ, დაუბრუნებლად; რომ შეიძლება მათში ისეთებიც ურევიან, რომელნიც ჩვენთვის ძვირფასნი არიან, მახლობელნი, საყვარელნი—ჩვენი **ზნეობრივი** ბუნება შედარებით ადვილად ურიგდება. ის აზრი კი, რომ ერთს დღეს შეიძლება მთელი ხალხის და მისი კულტურის, ან, მით უმეტესს, მთელი კაცობრიობის სიკვდილის ჟამმა ჩამოჰკრას, ღრმად შეურაცმყოფელია ყოველ ცოტად თუ ბევრად განვითარებულ შეგნებისთვის. პირადი უკვდავება დაუცხრომელი ევდემონისტურ წყურვილის ნაყოფია და სრულიად უმნიშვნელოა ეთიურად: პიროვნების ღირსებას არაფერი შეემატება, თუ ის მართლაც სამარადისო ნეტარებას მოიპოვებს. მისი ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაატარებს ის ამქვეყნიურს ცხოვრებას: ამქვეყნიურ ცხოვრების ადამიანურად გატარება-კი აუცილებლად ჰგულისხმობს იმ კულტურულ კაცობრიობის არსებობას, რომლის ისტორიული ნაყოფი, სხვათა შორის, ზნეობაცაა.

ადამიანობის ყოფნა არ ყოფნის საკითხის ეს ობიექტიური მხარე პლატონის და კანტის ეთიურ სისტემებისთვისაც ისევე უმნიშვნელოა, როგორც ქრისტიანობისთვის. სულიერი და მატერიალური კულტურა შეიძლება გაჰქრეს, მაგრამ რა? სად წერილ არს, რომ მან უნდა იარსებოსო, გვიპასუხებენ ისინი: მით უკეთესი უკვდავ სულისთვის და ტრანსცენდენტალურ მორალური იდეალისთვის, თუ მათ აღარ დასჭირდებათ ჩამოეშვან ღვთაებრივ სიმაღლეებიდან ამ ცოდვის და მწუხარების უბადრუკ სადგურში.

სწორედ ამ საკითხის სხვათა მიერ უყურადღებოდ მიტოვებულს ობიექტურს მხარეს შეეხო და მას დადასტურებით უპასუხა იმ ეთიკოსმა, რომელსაც შეიძლება ამ ქვეყანაზე არავინ სძაგდა ისე ძლიერად და გულწრფელად, როგორც კანტი, პლატონი და ქრისტიანობა: ფრიდრიხ ნიცშე უკვდავად სთვლის კაცობრიობის კულტურას. ამ რწმენას იგი ძველ პითაგორელებისაგან ნასესხებ, „მუდმივ განმეორების“ ანუ „მსოფლიო წელიწადის“ იდეაზე ამყარებს. სამყარო განუსაზღვრელია დროებაში, მაგრამ განსაზღვრული სივრცეში; ყოველივე ის, რაც სივრცის მხრივ დაუსრულებელი არ არის, არც შემადგენელ ელემენტთა მხრივ შეიძლება იყოს დაუსრულებელი და უსაზღვრო. ელემენტთა განსაზღვრული რიცხვი კი, რაც უნდა დიდი და მიუწდომელი იყოს ის წარმოდგენისთვის, ყოველთვის კომბინაციათა და ურთიერთობათა განსაზღვრულს რიცხვს იძლევა. ამი-

*) იხ. „დროება“ № 17.

ქიმო ნაწილის და სამკურნალო წყლების ინსპექტორად.

✦ **კავკასიის წარმომადგენელი.** როგორც ვიცი, კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენლად პეტერბურგში დანიშნეს სახელმწიფო საბჭოს წევრი ნიკოლსკი. „კასპი“-ი იუწყება: ნიკოლსკი კავკასიის მიწათ-მოქმედის საკითხის კარგ მცოდნეთ ითვლება და იმის დანიშვნას კავშირი აქვს კავკასიის მომავალ რეფორმებთანაო.

✦ 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე რკინის გზის ლიანდაგიდან ერთი ვერსის სიშორეზე, ნახეს გვამი უცნობ კაცისა, ასე 33—35 წლისა. კისერზე თოკი ჰქონდა შემოჭერილი. როგორც ეტყობა, უცნობი დაუხრჩვიათ და შემდეგ ხევში გადაუთრევიათ. მოკლულის ვინაობისა და მკვლელების აღმოსაჩენად გამოძიებაა. სასტუმრო „ნიუ-იორკში“ შლიაპების მაღაზიის პატრონ ლევან ზარაბოვთან შესულა უცნობი კაცი, რომელიც მაღაზიაში დაიარებოდა თურმე რაღაც ცნობების შესაკრებად. ლუდის დალევის დროს გულის რევა ავარდნია ზორაბოვს და დასძინებია. მეორე დღეს ზორაბოვს გაუგია, რომ უცნობმა 530 მანეთი ფულად და 55 მანეთის ნივთები მოჰპარა. დააპატიმრეს შულავრის მცხოვრებელი მიხაკ ყაზარიანცი. დააპატიმრეს აგრეთვე სოფიო თუმანოვისა, ნათესავი ქურდისა, რომლისთვისაც მოპარული ნივთები მიუბარებია. 24 იანვარს დააპატიმრეს ქართლელი იოსებ ზაქარის ძე ბერიძე და ტფილისელი გიორგი მურმანიშვილი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულან. ჩხრეკის დროს დააპატიმრეს პოლიციის მე-3 ნაწილში—26, ნაძალადევში—2 და მე-12 ნაწილში—12 უპასპორტო კაცი.

✦ როგორც ვიცით, ან. ე. ნადიროვისამ დიდი მამული დაუტოვა სომეხთა ეჩმიაძინის მონასტერს და სომეხთა საქველმოქმედო ფაწესებულებებს. ნადიროვების მემკვიდრეებს, როგორც გავიგეთ, საჩივარი აღუძრავთ ანდერძის გაუქმების შესახებ. თხოულობენ, მემკვიდრეებად ისინი იქმნენ დამკიცებულნი. ჰსაბუთად ჩაჩივრისა მემკვიდრეებს ის მოჰყავთ, რომ ნადიროვისას არავითარი უფლება არა ჰქონდა მამა-პაპური ადგილები ვისთვისმე ეანდერძნა.

# მოწერილი ამბები

**ჯვარცხმა** (გურია). ჯვარცხმის საზოგადოება ძალიან ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრით. მთელ საზოგადოებაში, რომელიც შესდგება 465 კომლისაგან, არსებობს ერთადერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ოთხის მასწავლებლით. ამათგან ორი ხაზინიდან იღებს ჯამაგირს და ორი სოფლისაგან მოსწავლე ძალიან ბევრია—240 ბავშვი. თუმცა წრეულს ასამდე ბავშვი მიიღეს, მაგრამ მაინც ბევრი დარჩა სკოლის გარეშედ. ამ გარემოებამ აიძულა ჭორელები გაეხსნათ სამრევლო სკოლა, მაგრამ ვეღარ შეინახეს და ისევ დახურეს. სოფ. ახალშენშიაც გახსნეს სამრევლო სკოლა, მაგრამ ისიც სულსა ჰღაფავს. დანარჩენ სოფლებში არავითარი სკოლა არ არსებობს. არის ისეთი სოფლები ამ საზოგადოებაში, რომელნიც 5—6 ვერსითაა დაშორებული სამინისტრო სკოლას და იქიდან დადიან ბავშვები სასწავლად. როგორ და უნდა ისწავლოს იმ ბავშმა, რომელიც დილას 6 ვერს გაივლის სწავლის დაწყებამდის? მას დასვენება სჭირია და არა სწავლა და მეცადინეობა. ასეთი სოფლებია, მაგალ., ზენობანი წითნაგვარით, გორაბერეჟოული, ზემოჯვარცხმა და გუთურიც. აი ამ სოფლებმა უნდა ეცადნენ, რომ დაიარსონ როგორმე თითო კლასიანი სასწავლებლები. რაც შეეხება ორ-კლასიან სასწავლებელს, ჯვარცხმელები ძალიან ზრუნავენ. ენკენისთვეში გადასწყვიტეს გახსნან ამ სკოლასთან აგრონომიული განყოფილება და დაადგინეს: შეიძინონ საჭირო მიწა, ააგონ შენობა და სთხოვონ დირექციას გამოგზავნოს სახელმწიფო ჯამაგირიანი მასწავლებელი. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად აირჩიეს ვექილები, რომელთაც დაავალეს იმოქმედონ არსებულ სკოლის მზრუნველებთან ერთად, გამონახონ მიწა, სახლი და საჭირო თანხა გააწერონ სოფელს. მის შემდეგ გავიდა დიდი ხანი და ამ კომისიისა არაფერი ისმოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეჰყარეს ყრილობა 17 იანვარს და გამოუცხადეს ხალხს: რადგან ორზალიანი ხის შენობა არა ჯდება მაინცადამაინც იაფად (2000 მანეთზე მეტი), უმჯობესია ავაგოთ აგურის ოთხზალიანი შენობა, რომელიც დაჯდება ხისაზე ცოტა მეტი (3000 მანეთამდე) და ზედ დავადგათ ეხლანდელი ხის შენობაო. კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაავალა ამავე კომისიას გააწეროს საჭირო თანხა და შეუდგეს საქმეს. ამის შემდეგ აღარავერი დაბრკოლებს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს და უეჭველსავე ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ ენკენისთვიდან ჯვარცხმაში იქნება სამეურნეო განყოფილება და სპეციალისტი მასწავლებელი.

ამავე ყრილობაზედ, 17 იანვარს, სამინისტრო სკოლის ზედამხედველმა ს. რუხაძემ მოახსენა საზოგადოებას, რომ როგორც ინსპექტორმა კ. მაჭავარიანმა მითხრა, თუ მიწასა და სახლს შევიძენთ გაგვიხსნიან ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელს. სადაც ასწავლიან ჭრა-კერვას, მეაბრეშუმეობას, მებოსტნეობას და სხვ. მასწავლებელ ქალს ხაზინიდან ექნება ჯამაგირიო. კრებამ ესეც დიდის სიამოვნებით მიიღო.

**გარეჯე.**

—

**საგარეჯო** (გარე კახეთი). მაისის პირველი რიცხვები იყო, როცა საგარეჯოში მივედი. ავიარე ბაზარზე, შევხვდი მრავალ ნაცნობს, მაგრამ საშინელი სურათი წარმომიდგა თვალწინ: ყველგან სამარისებური სიჩუმე იყო, ყველას დაღვრემილ სახეზე ორ-აზროვანი გამომეტყველება ეხატებოდა, ყველას ნაღვლითა ჰქონდა გული სავსე და თითქო ერთმანეთისაც კი ეშინიანთო, თავისუფლად სიტყვის თქმას ველარავინა ჰბედავდა. ჩაფიქრებული ვეკითხებოდი ჩემს თავს: სად არის ის აღმაფრთოვანებელი ძალა სულისა, რომელიც ქვაკუთხედია ხალხის წინსვლისა?

საგარეჯოში მთავრობის მამასახლისად ოსი იყო დანიშნული, გვარად ეძიევი და როგორიც თითონ იყო სულით მახინჯი, სტრაჟნიკებიც ისეთივე ჰყავდა მთელი საგარეჯოს რაიონი კანკალებდა მათის შიშით. ჰაერი შეხუთული იყო, თავისუფლად ამოსუნთქვა არავის შეეძლო, საკმაო იყო სრულიათ უბრალო მიზეზი, რომ მათრახს გლეხის ზურგზე გაენავარდნათ. ეძიევი სრული თვით მყრობელი იყო საგარეჯოს რაიონისა და როგორცა სურდა, ისე განაგებდა მის ბედ-იღბალს. ხალხის ყვლეფაში და ქრთამების აღებაში მწერალს მ—ძესაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მათი უსამართლო მოქმედება საზღვარს გადასცილდა, ველარ აიტანა ხალხმა სიმძიმე ასეთი ტვირთისა და მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა მიმართეს საჩივრით, სადაც საჭირო იყო. დანიშნეს რამდენჯერმე გამოძიება და რადგან ყველა ბოროტმოქმედება მამასახლისისა დამტკიცდა, დათხოვნილ იქმნა ადგილიდან თავის მწერლიანად. ბევრი ეცადა სართიჭალის ბოქაული უჯახოვი, რომ ეძიევი ისევ საგარეჯოში დარჩენილიყო მამასახლისად, მაგრამ მაზრის უფროსისაგან მტკიცე უარი მიიღო.

ეძიევის შემდეგ მთავრობის მამასახლისათ გამოგზავნეს ინგუში ბოგოლოვი. ახალი ცოცხი კარგა ჰგვისო, ნათქვამია და ესეც ცოტა რიგიანად ექცეოდა ხალხს პირველ ხანებში, მაგრამ გაიცნო თუ არა აქაური ბობოლები, სულ სხვანაირად დაიწყო მოქმედება. რადგან მისი მოქმედებაც წრეს გადასცილდა, ამ ერთი თვის წინად ისიც დაითხოვეს და იმის ადგილზე დანიშნეს დროებით ადგილობრივი მცხოვრები ნაცვალი ს. ნუკრაძე, ხოლო იანვარში თავ. ვაჩნაძე. ცნობილია, რომ მთავრობის მამასახლისებს ყველაზე ადრე სოფლის ბობოლებმა უნდა გაუკეთონ ხოლმე „ვიზიტი“ და თავიანთი ლაქიური ზრდილობით მოინადირონ მათი გული, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ თუ მუქთად ნაშოვნი ხორცით მამასახლისი გამოძღება, ძვლები მათ შეხვდებათ გამოსახრავად.

მთავრობის მამასახლისა, სტრაჟნიკებისა და მწერლის შესანახად გაიწერა წარსულ მაისში 5020 მანეთი. ამ ფულში ასი თუმანი მოულოდნელ ხარჯებისთვის იყო გაწერილი, არას დროს არ გაუწერიათ ამოდენა ფული მოულოდნელ ხარჯებისთვის.

წარსულ წლების ნედოიმკებისა და სხვა ხარჯების ასაკრებად სასტიკი ზომებია მიღებული. ხალხი გაჭირვებაშია ჩავარდნილი.

გასული წლის ივნისში სართიჭალის მომრიგებელმა შუამავალმა თ. ვაჩნაძემ ცირკულიარი დაუგზავნა მამასახლისებს სოფლის კანცელარიებში გასაკვრელად, სადაც ნათქვამი იყო, რომ არც ერთ მოხელეს ან სტრაჟნიკს კანონით უფლება არა აქვს, მოითხოვოს სოფლის ხარჯზე საჭმელ-სასმელი, თივა, ქერი და სხვა, რაზედაც აუარებელი ფული იხარჯება ხოლმე, მაგრამ ეს ბრძანება დღესაც არა სრულდება. რამდენჯერმე მითხრეს გლეხებმა, კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოვალეობა არ არის მათი გამასპინძლება, მაგრამ გვეშინიან, უარეს მდგომარეობაში არ ჩაგვყარონო. თუ გლეხი გაუბედავია და შიშით ვერ უთქვამს სიმართლე, ჯრას ფიქრობენ ისინი, ვინც კანონის დამცველებად ითვლებიან? კარგი იქნება თვითონ გუბერნატორმა მიაქციოს ამას ყურადღება.

**გარეჯელი.**

# ნუგეშის-მცემი მხნეობა

(მარიამ დემურიას ხსოვნას)

შარშან 5 ნოემბერს დაატუსაღეს ჩემი ცოლი. ეს ამბავი ჩვეულიცა და უჩვევიც იყო ჩემთვის. რაც უნდა ჩვეული იყოს ეს თუ ის სამწუხარო მოვლენა, იგი ყოველთვის ახალ აბეზარ სურათად წარსდგება ხოლმე ადამიანის თვალთა წინაშე.

პირველ ხანებში არ ვიცოდე რა გზას დავსდგომოდი და მწარე ფიქრებში გართული ვიჯექ ჩემ ოთახში. ცივი ზამთრის დღე იყო. სასტიკი ქარი ჰქროდა და მთელ ჩვენ სახლს ზანზარი გაჰქონდა. ბუნებაც თითქო მთელი თავისი მკაცრი ძალებით ამხედრებულიყო ჩემ წინააღმდეგ და იმედის ნატამალსაც მიქრობდა და მიქარწყლებდა გულში.

არის ისეთი წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა იგი უიმედობის კლანჭებში ჩავარდნილი, გასაჭირიდან გასავალ გზას ვერ ჰხედავს და ცხოვრება ადამიანზე მოვლენილი რაღაც გულის აღმრევი მასხრობა ჰგონია. სწორედ ასეთმა შავბნელმა გრძნობამ შემიპყრო და უძრავად გამაშეშა.

ამ დროს ფანჯრიდან მარიამ დემურია დავინახე, რომელიც ქარს ებრძოდა და აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა ჩვენი სახლისაკენ. თმები გაწეწოდა, სახე სიცივისაგან გალურჯებოდა, იმის პალტოსა და კაბას მძაფრი ქარი შეუპოვრად ეომებოდა, ის კი არაფრად აგდებდა ამ დაბრკოლებას და, მხნეობით აღსავსე, მოჰქროდა ჩემდა საშველად და ნუგეშის საცემად.

ამ სურათმა მსწრაფლ გამიქარვა გულზე მოწოლილი შავი ჯანღი და წელში გამასწორა. სიხარულით დაუხვდი ჩემი ოჯახის მეგობარ ადამიანს. მოვითათბირეთ და საერთო ძალ-ღონით აღმოვაჩინეთ სხვადასხვა გზები ჩემი ცოლის დასახსნელად.

ეს წუთი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემ გულში. მაშინდელი სურათი ჩვენი მეგობრის, აწ განსვენებულის ადამიანისა მთელი იმისი ამ მსოფლიური მოღვაწეობის სახე და სიმბოლო იყო. იმისი მთელი ცხოვრებაც სწორედ ის ხორც-შესხმული მხნეობა იყო, რომელმაც, გასაჭირში ჩავარდნილს, იმედი აღიძრა გულში და სამოქმედოდ გამომცლეიძა.

ვის დაავიწყდება ჩვენში მარიამ დემურია, ყოველნაირ დაბრკოლებათა მძლევი, მათი არაფრად ჩამგდები და ყოველ წუთს მხნე მოღვაწეობის სურვილით აღსავსე ადამიანი? როგორც იმ ჩემთვის დაუვიწყარი წუთში, ისე მთელს თავის სიცოცხლის განმავლობაშიაც იგი დაუღალავად ებრძოდა ცხოვრების მძიმე პირობებს, წყობილების მძაფრსა და სუსხიან ქარიშხალს და ნუგეშის მცემ მოღვაწეობისათვის მედგრად მიიშურებოდა იმათკენ, რომელნიც ამ ნუგეშსა და დახმარებას ყველაზე უფრო საჭიროებენ,—ხალხისა და ბავშვებისაკენ.

რაც უფრო უკვირდები ცხოვრებას და ჩვენგან საუკუნოდ განშორებულ და მაინც ჩვენ თვალ წინ ცოცხლად გამოხატულ მარიამის მუდამ მომღიმარ სახეს, მით უფრო მჯერა, რომ ცხოვრებას მხოლოდ ამგვარ უანგარო მუშაკთა მხნეობით უდგია სული, მით უფრო მკაფიოდ მაგონდება პოეტის ღრმა-აზრიანი სიტყვები: „ადამიანის გულში მოყვასთა მიმართ სიყვარულის ნაპერწკალი რომ არმ ღვიოდეს, ეს წუთი სოფელი ჩვენთვის აუტანელ ტვირთად გადაიქცევაო“.

**ილია ნაკაშიძე**

# სპარსეთი

**შაჰის აგენტების დატუსაღება.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „აქ დაიჭირეს სამი კაცი ოსმალურ ტანისამოსით და ფესებით. დატუსაღებულნი გამოტყდნენ, რომ ისინი ოდესიდან მოვიდნენ; ერთი აღმოჩნდა ნაშაჰარის კასირი მუშიხი, მეორე—მისი მოსამსახურე ალვატ ასკარ-ხანი, მესამე მისი მზარეული. გაჩხრეკის დროს უპოვეს სამი დიდი დაბეჭდილი კონვერტი ქაღალდებით, ეს კონვერტი ჩააბარეს სამსაჯულოს თავმჯდომარეს. ხვალ, 22 იანვარს, პირველად გამოჰკითხავენ და გახსნიან კონვერტებს საგანგებო კომისიის თანადასწრებით. დატუსაღებულთ გამოუცხადეს პოლიციელებს, რომ ეს კონვერტები ოდესიდან გამოგვატანეს ორმა რუსმა, რომლებიც ნაშაჰართან იმყოფებიანო.

მთავრობის ბეჯით სიფთხილის წყალობით დაატუსაღეს სხვა რეაქციონერებიც, რომლებიც ნაშაჰარის ბძანებით დაბრუნდნენ სპარსეთში კონტრ-რევოლიუციის მოსახდენად: ასამად-დოულე მეშედში და ჰაიდარხანი, ნაშაჰარის მებუფეტე თეირანში.

# ოსმალეთი

**საშიში ცნობები.**

„რუსკ. ვედომოსტი“-ს ატყობინებენ ვენიდან: „აქაური დიპლომატები ძლიერ შეაწუხა საშიშმა ცნობებმა, ბალკანეთის ნახევარ კუნძულიდან მიღებულმა. საბერძნეთის ახალი სამინისტრო სამხედრო პარტიის მომხრეთაგან შესდგება და უთუოდ ეცდება ომი გამოიწვიოს ოსმალეთთან. აკი ოსმალეთმაც მაშინვე სათადარიგო ჯარისკაცები მიიწვია ჯარში. ბოლგარიის სამხედრო მზადებაც ყურადღების ღირსია, დიპლომატები შიშობენ, ვაი თუ გაზაფხულზე ერთად თავი არ წამოუყონ კრიტესა და მაკედონიის საკითხებმაო. საშიშად მიაჩნიათ აგრეთვე ის ცნობაც, რომ ოსმალეთის ფლოტის უფროსი ადმირალი გამბლი სამსახურიდან გადადგა და რომ რუმელიაში ჯარის უფროსად ნაზიმ-ფაშა დაინიშნაო. ეს მიაჩნიათ იმის ნიშნად, რომ ოსმალეთის სამხედრო პარტიას გაუმარჯვნია ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტზე“.

21 იანვარს დილით სტამბოლში მოხდა საგანგებო სხდომა სამხედრო საბჭოსი შევკეთ-ფაშის თავჯდომარეობით, სხდომას დაესწრნენ მთავარ შტაბის უფროსი და უმაღლესი გენერლები.

პარიზის ბირჟაზე ხმა გავრცელდა, ვითომ ოსმალეთის ჯარის ნაწილი მზადაა საბერძნეთის საზღვარი გადალახოს, ხოლო ფლოტი პირეისკენ (ათინას ნავთ-სადგურია) აპირებს წასვლასო. სათადარიგო ჯარისკაცებს საჩქაროდ ასწავლიან და ავარჯიშებენ.

სამხედრო მინისტრმა შევკეთ-ფაშამ სთხოვა გაზეთებს ჯარის მოძრაობასა და სამხედრო ღონისძიებათა შესახებ ნურას დასწერთო.

ბერლინში ხმა გავრცელებულა, რომ მფარველი სახელმწიფოები ხელახლად აპირობენ კრიტეზე ჯარის გადაყვანასაო.

# თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი.** 24 ოქტომბერს საარტისტო საზოგადოების დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი კონცერტი წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. კონცერტმა კარგად ჩაიარა. სამწუხაროდ, ხალხი ნაკლებად დაესწრო.

**ქართული წარმოდგენა.** კვირას, 24 იანვარს, ნ. ჩხეიძის მონაწილეობით, ქართულ თეატრში წარმოადგინეს „მარგარიტა გოტიე“. დაწვრილებით ხვალ.

# რა ეშველება ჩვენ სიღარიბესა?

(წერილი რედაქციის მიმართ)

თუ ცალკე ვიქნებით, არა გვეშველება რა, უნდა შევერთდეთ როგორმე,—ამას ყველა გრძნობს ჩვენში. საქმე მხოლოდ იმაშია, როგორ მოვახერხოთ ხეირიანი შეერთება, რომ მართლა გამოსადეგი იყოს ხალხისთვის, თორემ ცუდ შეერთებას ყაჩაღებიც ახერხებენ ხოლმე: ერთად დაუხვდებიან გზაზე გამვლელსა და გაცარცვამენ... მაგრამ მთელ ხალხს ამისთანა „შეერთება“ ხომ არც არგებს, არც ეკადრება, რა თქმა უნდა!

ზოგი იტყვის, ყველაზე კარგი ის იქნება, მშრომელი ხალხი შეერთდეს და „მდიდარს“, ცოტა არ იყოს, მადა შეუკრას, მდიდარ კაცის გაუმაძღრობას ბოლო მოუღოსო!

მაგრამ ამისთანა „შეერთებას მდიდრების წინააღმდეგ“ დიდი ძალა და უფლება სდომებია, ჩვენ კი მწარეთ გამოვსცადეთ ერთხელ კი არა, ასჯერა რომ საამისო არც ძალა გვქონია ჯერ-ჯერობით, და არც უფლება...

აღმოჩნდა, რომ თითონ მშრომელ ხალხის შეერთებაც ადვილი არა ყოფილა: თურმე ამასაც სდომებია დიდი ცოდნა და დიდი სიწმიდე გულისა, ჩვენ კი ამაშიც ძლიერ ვკოჭლობდით...

აღმოჩნდა კიდევ, რომ შეძლებულ ხალხშიც ყოფილა ბევრი პატიოსანი ადამიანი და იმათ გულით უნდათ ხალხის სარგებლობა, მაგრამ ვერასა ხდებიან: დღევანდელ პირობებში ნამდვილი შველა ვერ მოუფიქრიათ და ჰგრძნობენ ყველა, ჩემი შეძლება სულაც რომ [illegible] ხალხს, ამით მაინც არა გამოვა-რა! [illegible] კიდევ [illegible] გამოსულა-რა! [illegible] სწორედ: ვერც სხვის სიმდიდრის წართმევა, ვერც ვისიმე წყალობა და იმედი ხალხს თურმე ვერაფერს არგებს! ბოლოს და ბოლოს, თუ იმაზე მივიდა საქმე, ვინ ვის შეუერთდეს და რისთვისაო, ვგონებ, რომ ისევ ის ემჯობინება, ყველა სინიდისიანი ადამიანი, —გინდ მდიდარი იყოს და გინდ ღარიბი,—შეერთდეს და თავისივე გარჯით უშველოს საქვეყნო საქმესა.

ასე რომ მე მხოლოდ ამაზე მწადიან დღეს ლაპარაკი: მსურს მოგახსენოთ, როგორ მოხერხდება, ჩემის აზრით, ყველა სინიდისიან ადამიანის შეერთება ჩვენ უზომო გაჭირვების დასაძლევად. მე მხოლოდ ერთმანეთის ძმურ დახმარებაზე მოგახსენებთ და სხვა რამეზე სხვამ იფიქროს და ილაპარაკოს.

რა თქმა უნდა, თუმცა ჩვენზე უბედური ხალხი ძნელათ მოიძებნება, მაგრამ სხვა ქვეყნებშიც ყოფილან და არიან გაჭირვებულნი. და აი, მთელ ქვეყნის გამოცდილებამ სადღეისოდ შეჰქმნა ბევრი სხვა და სხვა ფორმა (ხერხი) ერთმანეთის დახმარებისა თუ „ამხანაგობისა“.

მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ხალხურ ყაირათის საქმე ისე ძნელია და რთული, რომ ხალხის საუკეთესო მეგობრებსაც უჭირდებად ხალხურ საქმის კაი გაგება და ამიტომ ვისაც კი დაუპირებია ხალხისათვის რჩევა, ვისაც კი უთქვამს: „ასე სჯობს, ასე მოვიქცეთო“—ყველას აუცილებლათ მოსვლია ათასგვარი შეცდომა, უნაკლო „ამხანაგობა“ დედამიწის ზურგზე არ დაარსებულა და ჩვენ სიღარიბეს ნამდვილათ არა ეშველა რა!

ახლა ჩვენც რომ გავბედოთ და ურჩიოთ რამე ხალხსა, ვაი თუ ჩვენც ათასი შეცდომა მოგვივიდეს, ვაი თუ, შველის მაგიერ, ვავნოთ კიდეცა ხალხურ საქმესა?

ამიტომ უნდა ვთხოვო მკითხველსა: ამისთანა საქმეში ნურავის რჩევას ნუ დაიჯერებს! ჩემი სიტყვაც ათასჯერ ასწონოს, ჩემი რჩევაც ჯერ უფრო შეძლებულ ხალხზე გამოიცადოს და მერე თავის თავადაც გამოჩნდება, რაში ვარ მართალი და რაში მტყუანი.

ერთ რამეს კი უნდა ვეცადოთ: სხვისი გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ და სხვისი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. მაშინ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება იმატებს, მაშინ ჩვენი შეცდომები აღარც ისე ვვაზარალებენ.

ამიტომ ჯერ დავათვალიეროთ სხვა და სხვა „ამხანაგობა“ და იმათი კარგიცა და ავიც დავინახოთ. მაშინ, ვინ იცის, იქნება მართლა, მივაგნოთ ჩვენ საიმედო გზას!

**შრომის შერთებაზე.**

ზოგი დღევანდელი ამხანაგობა (ბევრს ამისთან-ს „არტელი“ ჰქვიან) იმასა სცდილობს, რომ ჩვენი შრომა შეაერთოს. ამნაირ ამხანაგობაში ყველანი ერთად მუშაობენ. აბა, რა თქმა უნდა, სად ცალკე კაცის წვალება და სად ამისთანა ამხანაგობის ძალა! საქმესაც ამხანაგობა უფრო ადვილათა შოულობს, იმას უფრო ენდობიან, მინამ ცალკე ადამიანსა. ამიტომ კარგია ამისთანა შეერთება.

მაგრამ ამნაირ ამხანაგობას ხალხისათვის საერთო მნიშვნელობა არა აქვს მაინცა და ყველასათვის საიმედოთ ვერ ჩაითვლება და აი რატომა. აკი მოგახსენეთ, ამნაირ ამხანაგობაში ყველანი ერთად მუშაობენ. ახლა როგორ იმუშავოს ერთადა, ვთქვათ, მეპურემა და მენახშირემა, მასწავლებელმა და ღალაქმა, მიწის მხვნელმა და ჩინოვნიკმა, მეთევზემა და ვაჭარმა? ცხადია, რო ყველა ამათი შეერთება ამნაირ ამხანაგობას არ შეუძლიან, მაგრამ ამას, იქნება, არავინაც ინაღვლიდა, მაგრამ ერთ რომელიმე ხელობის კაცებს კი შეაერთებს ვითომა ამნაირი ამხანაგობა? არა, არც ეს შეუძლიან: ამისთანა ამხანაგები აუცილებლად ცოტანი უნდა იყვნენ, თორემა, თუ ბევრი ხალხი შემოვიდა ამხანაგობაში საერთო შრომა მეტად ძნელდება და უფრო კარგ მუშას მეტი სიმძიმე აწვება. ამიტომ, ნამდვილათ საქმე აი რითი თავდება: რამდენიმე მოხერხებული კაცი თავის ტოლს ეძებს და იღებენ საერთოდ რაიმე საქმესა; მერე აუცილებლად მოდის დრო, როცა ეს ამხანაგები იტყვიან, მეტს ნულარავის მივიღებთ, ჩვენთვის და ჩვენ საქმისათვის საჭირო აღარავინ არიო, ტყუილად წილს ნურავის დაუდებთო! და აი, ამ ერთმა მუჭა ადამიანმა იქნება

---

ტომ მუდმივ დაუბოლოებელ დროების განმავლობაში უსათუოდ მოაღწევს ისეთი წუთი, როცა კოსმიური პროცესსი დაამთავრებს ყველა შესაძლებელ ურთიერთობას და იძულებული იქნება სავსებით განიმეოროს ერთხელ უკვე განვლილი მდგომარეობა. ერთი და იგივე მიზეზი კი ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იწვევს: ამიტომ მსვლელობის ერთი სტადიის განმეორებას, მეორეს და მესამეს განმეორება მოჰყვება და სხ. სამყაროსაც აქვს თავისი წელიწადი და თვითეული მათგანი სავსებით წინანდელზეა გამოჭრილი. მეორდება კულტურაც, მსოფლიო განვითარების ეს უმაღლესი გამოხატულება: მარადისობისთვის სცხოვრობს ადამიანი და ყოველი მისი მოქმედება უკვდავების ბეჭებზეა აღბეჭდილი.

მთელი ეს პოეტური გონება-მახვილობა შემცდარს წინასწარს მოსაზრებაზეა აშენებული. ის შეხედულება, რომ სამყარო სივრცის მხრით განსაზღვრულია და, მაშასადამე, განსაზღვრულს ელემენტებისაგან შესდგება, ბრძენთა ასტრონომიის ცდომილებაა და სავსებით ეწინააღმდეგება ახალ დროების მსოფლიო მხედველობას. ბერძენს კოსმოსი ჰარმონიულ-სფერიულ ბურთად აქვს წარმოდგენილი, რომლის ცენტრში ბრტყელი დედამიწა იმყოფება, ხოლო მასზე ადამიანი, მიზანი და გვირგვინი ყოველ არსებულისა. თანამედროვე აზროვნებისთვის კი კოპერნიკის, ჯიორდანო ბრუნოს და გალილეის შემდეგ მხოლოდ დედამიწა და სხვა მნათობები არიან სფერიული ბურთნი, სამყარო კი გონებისთვის მიუწდომელი უსაზღვრობაა, რომლის საიდუმლოება მით უფრო იზრდება, რაც უფრო სცდილობს მის განათებას მომაკვდავის გონებრივი ლამპარი. ადამიანი თავის კულტურით უმნიშვნელო წვეთია ამ უძირო ზღვაში. განუსაზღვრელია სამყარო როგორც სივრცის, ისე ელემენტთა რიცხვის მხრივ და უცნაური იქმნებოდა განმეორებაზე ლაპარაკი იქ, სადაც შესაძლებლობას არასოდეს ორ უჩანს დასასრული.

თვით განმეორებასაც მხოლოდ მაშინ ექმნება აზრი და მნიშვნელობა სულიერ კულტურისათვის, რომ ადამიანს შერჩენოდა მახსოვრობაში წარმოდგენა წინანდელს არსებობაზე: რაც ცნობიერებისთვის არ არსებობს, ის უმნიშვნელოა კულტურულ მსვლელობისთვის. უკვდავებაზე ლაპარაკი იქ არ შეიძლება, სადაც ერთი ხანმოკლე მომენტი მეორე მომენტისაგან ბნელ შეუგნებელ უფსკრულითაა გაყოფილი: ასეთს შემთხვევაში „განმეორება“ არ განირჩევა ხელახალ წარმოშობისაგან, ხოლო „უკვდავება“ სიკვდილისაგან.

რაც შეეხება ნიცშეს შეხედულებას, რომ ცხოვრების ღირებულება მდგომარეობს არა მთლიანობაში, არამედ მის უდიდეს გამოხატულებაში, მის უძლიერესს ეგზემპლიარებში, ცხადია ის ამით ხელახლა ადამიანურს ცხოვრებას საშუალებად ჰხდის იდეალურ ყოფნის ან „ზეკაცობისათვის“ და ძალაუნებურად უახლოვდება მის მიერვე ათვალის წუნებულს ეთიურს მიმართულებებს. „დიადი, განუმეორებელი წუთების“ გადაჭარბებული დაფასება კი მას „ბედნიერების მორალს“ უნათესავებს, თუმცა თვით ის უარჰყოფს ამ არასასიამოვნო ნათესაობას.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

კიდეც იხეიროს, მაგრამ ამით ქვეყანას დიდი რა შეემატება?

აქვე ისიც უნდა ვთქვათ აუცილებლად, რომ ხშირად, და ძლიერ ხშირადაც ერთი ამნაირი ამხანაგობა მეორეს (ან ცალკე მუშებს) პირდაპირ ყელსა სჭრის, საქმეს და ლუკმა პურს ხელიდან აცლის! აბა, რაღა უნდა აქ საერთო სარგებლობას? ამის შემდეგ ცხადია, რომ ამისთანა ამხანაგობას ქვეყნის დიდ მარგებლად და ყველასთვის საიმედოთ ვერ ჩავთვლით ვერას გზით.

**ნაშრომის შეერთებაზე გასაყიდად.**

ახლა ზოგ ამხანაგებს თავისი შრომის შეერთება კი არა სწადიანთ, არა, ცალკე მუშაობენ და მხოლოდ ნამუშავარის (მოსავლის, საქონლის) გაყიდვასა სცდილობენ ერთად. აი, მაგალითად, კახეთის მევენახეები. თავიანთ ვენახებს ჯერ ცალკე უვლიან და პატრონობენ, მერე კი მოსავალს ერთად უყრიან თავსა და საერთო საწყობებიდანა ჰყიდიან ღვინოსა. ამნაირი ამხანაგობა ძლიერ სასარგებლოა და არც ისე ძნელია მისი ფეხის მოკიდება ხალხში: მოსავლის გასაღება ყველასთვის საჭიროა, და სხვა არა იყოს რა, ჩარჩების მოგება მაინცა გვრჩება ხელში! მაგრამ ესეც ცოტაა: ამისთანა ამხანაგობა თითონ ზრუნავს ხოლმე ჩვენი საქონლის გამოკეთებაზედაც, რომ ჩვენ საქონელს კაი სახელიცა ჰქონდესო და კაი გასავალიცაო.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, ამისთანა (საერთო საწყობის) ამხანაგობა ძიელ კაი რამეა და ყველამ ხელიც უნდა შეუწყოთ ამათ გაჩენასა ჩვენში. მაგრამ თან ერთი რამე მაგონდება: თვალწინ მიდგია, როცა ამასა ვწერ, ჩვენი თითქმის უმიწაწყლო გლეხკაცი და სხვა ჩვენი მუშა, რომელსაც თითქმის არაფერი გააჩნია, თავის მარჯვენის გარდა... აბა ახლა ამათზე ვთქვათ: დიალ, კარგია საქონლის გაყიდვა კაი ფასებში, მაგრამ ამათ რომ გასაყიდიც ბევრი არაფერი აბადიათ? ჯერ მოსავალი უნდა იყოს, მერე მისი გაყიდვა, არა თუ! თორემა, თუ წელიწადში ერთი კოკა ღვინო მომივიდა, თუ ათი კვერცხი ქათამმა დამიდო და თუ ერთი წყვილი წინდა ჩემმა დედაკაცმა მოქსოვა,— რა ფასებშიც გნებავთ გამიყიდეთ, მე ამითი არა მეშველებარა! დიალ, სწორეთ ვისაც უფრო უჭირს, სწორედ იმას უფრო ნაკლებად შველის ეს საერთოთ გამყიდველი ამხანაგობა! და რადგანაც დიდი, დიდი უმრავლესობა ჩვენი ხალხისა სწორეთ ასეთ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაშ უნდა ვთქვათ პირნათლათ, რომ ამნაირ ამხანაგობას (ნაშრომის შეერთებას გასაყიდად) დიდი საიმედო, **ძირითადი** მნიშვნელობა მთელ ხალხისთვის არა ჰქონია. **რამან.**

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

ინგლისში უკვე გათავდა არჩევნები. თუმცა „პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს" ჯერაც არ გამოუგზავნია ცნობა სამის დეპუტატის შესახებ, მაგრამ გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ეს სამი დეპუტატი უნდა აირჩიონ: 2—შოტლანდიის უნივერსიტეტებმა, ხოლო ერთი ორკნეისა და შოტლანდიის კუნძულებმა. შეიძლება დარწმუნებით გამოვიცნოთ, რომ ეს უნივერსიტეტები ინგლისის უნივერსიტეტებივით ამოირჩევენ უნიონისტებს, ხოლო კუნძულები—ლიბერალს. ასე რომ ჩვენ ეხლავე შეგვიძლიან ახალ დეპუტატთა პალატის შედგენილობა შევადაროთ ძველის პალატისას:

| | არის | იყო |
|---|---|---|
| ლიბერალები . | 275 | 373 |
| მუშა . . . | 40 | 46 |
| ნაციონალისტი . | 82 | 83 |
| უნიონისტი . . | 273 | 168 |

აქედან ჩანს, რომ ახალ პალატაში ლიბერალებისა და მუშების რიცხვი ერთად ნაციონალისტებით, 42 ხმით გადააჭარბებს უნიონისტების რიცხვს.

ეხლანდელ არჩევნებში ლიბერალებსა და მათ მომხრე პარტიებს დაჰკლებიათ: მარტო ლიბერალებს—98 ხმა, მუშებს—6, ნაციონალისტებს—1, სულ 105 ხმა, ხოლო უნიონისტებს ამდენივე ხმა მოჰმატებიათ.

საინტერესოა შემდეგი ცნობებიც: ინგლისის ქალაქებში არჩეულია 114 ლიბერალი და მუშა, 111 უნიონისტი და 1 ირლანდიელი ნაციონალისტი. შოტლანდიის ქალაქებს აურჩევიათ: 27 ლიბერალი და მუშა და მხოლოდ 4 უნიონისტი. უელსის ქალაქებს აურჩევიათ: 10 ლიბერალი და მუშა და მხოლოდ 1 უნიონისტი. ირლანდიის ქალაქებს აურჩევიათ 12 ირლანდიელი ნაციონალისტი და 4 უნიონისტი. ასე რომ შეერთებულ სამეფოს ქალაქები ჰგზავნიან პარლამენტში 151 ლიბერალსა და მუშას, 13 ირლანდიელ ნაციონალისტს და 120 უნიონისტს.

ინგლისის 234 სასოფლო ოლქში აირჩიეს 123 უნიონისტი და 10 ლიბერალი და მუშა. სწორედ ამ ოლქებმა უღალატეს ლიბერალებს, რომლებმაც მუშებთან ერთად 1906 წელს 173 სასოფლო ოლქში გაიმარჯვეს. შოტლანდიისა და უელსის სასოფლო ოლქებში უნიონისტები ვერას გახდარან. მთელ შოტლანდიას (ქალაქები და სასოფლო ოლქები ერთად) ახალ პარლამენტში წარმომადგენლებად ეყოლება—61 ლიბერალი და მუშა და მხოლოდ 9 კონსერვატორი. უელს წარმომადგენლებად ეყოლება 28 ლიბერალი და მუშა, ხოლო 2 უნიონისტი. დათხოვნილ პარლამენტში უელსს სულ ლიბერალები და მუშები ჰყავდა წარმომადგენლებად, ირლანდიას ეყოლება 82 ნაციონალისტი—ჰომრულერი, 21 უნიონისტი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, არც ერთი პარტია, არც ლიბერალები და არც უნიონისტები არ არიან კმაყოფილნი. არჩევნების შედეგით უნიონისტები ლიბერალებზე ძლიერ უკმაყოფილონი არიან თურმე: მათ მტკიცე იმედი ჰქონდათ, რომ 180 ახალ ხმას შეიძენდნენ, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ, მეორეს მხრით, ლიბერალებსაც 30 ხმით დაეკარგათ იმაზე მეტი, როგორც თითონ ვარაუდობდნენ. ორივე პარტია იმარჯვებდა თურმე იქ, სადაც დამარცხებას მოელოდა, და იქ მარცხდებოდა, სადაც გამარჯვებას მოელოდა. ასე მაგალითად, სატარიფო რეფორმის მომხრეებს იმედი ჰქონდათ, რომ მუშებს მიიმხრობდნენ. პროტექციონისტები ბეჯითად უმტკიცებდნენ მუშებს, რომ სატარიფო რეფორმა ერთად-ერთი საშუალებაა უმუშევრობის მოსასპობადო და რომ მხოლოდ მის შემწეობით შეიძლება სამუშაო ქირის მომატებაო. მაგრამ მუშებმა არ დაუჯერეს და თავიანთ ხმები ზოგან ლიბერალებს მისცეს, ზოგან მუშათა პარტიის წარმომადგენლებს. 1906 წელს, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ინგლისის 234 სასოფლო ოლქში ლიბერალებმა გაიმარჯვეს 173-ში. ეხლაკი მსხვილ მემამულეებისა, სამღვდელოებისა და მაგარ სასმელების დუქნების პატრონთა შეერთებულის მეცადინეობით უნიონისტებმა ეს ოლქები გამოჰგლიჯეს ხელიდან ლიბერალებს. ამ დამარცხებამ მეტად გააკვირვა ყველანი, რადგან ლიბერალურმა სამინისტრომ ბევრი სასარგებლო რამ გაარიგა სოფლის მუშებისთვის. წინად სოფლის მუშა, ეს მსხვილ მემამულის ბურჯი, სიბერის დროს უთუოდ ღარიბთა თავშესაფარში უნდა მოჰყოლოდა; ეხლა-კი ლიბერალურ სამინისტროს წყალობით, მოხუცი სოფლელი მუშა ყოველ კვირას 8 შილინგს (1 შილინგი—50 კაპ.) პენსიას იღებს, ხოლო ამ ფულით მას შეუძლიან იოლად ყაიყვანოს თავისი თავიცა და თავისი ცოლშვილიც. ამიტომ ლიბერალებს დიდი იმედი ჰქონდათ სოფლის მუშებისა. მაგრამ მდიდარ მემამულეების ძალდატანებამ უფრო ძლიერად იმოქმედა არჩევნების დროს სოფლის ბეჩავ მუშებზე, ვიდრე ლიბერალურ სამინისტროს დიდმა ამაგმა.

უნიონისტების გამარჯვებას ძლიერ შეუწყო თურმე ხელი ინგლისის უხეირო, საარჩევნო წესებმა, ნამეტნავად მრავალხმოვანობის წესმა. ამ წესით ისარგებლეს უძრავ ქონების პატრონებმა, რომლებსაც სხვა და სხვა ოლქებში აქვთ უძრავი ქონება, ხოლო ამათში ძლიერ ბევრია კონსერვატორი. „მრავალ ხმის" პატრონებს არა დროს არა ჰქონიათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა, როგორც წრევანდელ არჩევნებში. ლიბერალები ძლიერა ნანობენ, რომ აქამდე არ მოსპეს ასეთი დახავსებული და უხეირო წესი, როგორც „მრავალხმიანობა", 1906 წელს, კემპბელ-ბანერმანის დროსვე, დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ პროექტი, რომლითაც ისპობოდა მრავალ ხმიანობა, და უნივერსიტეტების ცალკე წარმომადგენლობა, მაგრამ ლორდთა პალატამ უარჰყო ეს კანონ-პროექტი. ლიბერალურ სამინისტროს, რომ მაშინვე დაეთხოვნა პალატა და არჩევნები დაენიშნა, მით უმეტეს რომ ხსენებულ კანონ-პროექტის გარდა, ლორდთა პალატამ უარჰყო აგრეთვე მნიშვნელოვანი სასკოლო კანონ-პროექტიც, მაშინ ლიბერალები უფრო გაიმარჯვებდნენ, რადგან ინგლისს თავი ჰქონდა მობეზრებული კონსერვატორების მაშინდელ ათ წლოვიან ბატონობისაგან. მაგრამ კემპბელ-ბანერმანმა დაცდა ამჯობინა.

ლიბერალები ამბობენ, რომ „მრავალ ხმიანობის" წყალობით, აირჩიეს 2 კონსერვატორი ლონდონის უბანში—სიტიში; ასევე მოხდა გლაზგოსა და ლივერპულშიაც. ვიდაცას, სიგარის ქარხნის პატრონსა, რომელსაც 20 თამბაქოს მაღაზია აქვს ლონდონის 20 სხვა და სხვა ოლქში, 20 ხმა მიუცია. ლიბერალების ანგარიშით, მრავალ ხმის პატრონებს სულ 600,000 ხმა მიუციათ, რადგან არჩევანი ინგლისის სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა დროს ხდებოდა, მრავალ ხმის პატრონებს თამამად შეეძლოთ თავიანთ ხმა ყველა ოლქში მიეცათ, მით უფრო, რომ ინგლისში ძლიერ გაადვილებულია მისვლა-მოსვლა.

ლიბერალურ პარტიის უკიდურესი ფრთა—რადიკალები დიდ ჯორჯის მეთაურობით, ბეჯითად თხოულობენ, რომ პარტიამ დაუყოვნებლივ დაიწყოს ბრძოლა ლორდების წინააღმდეგ. ესენი თხოულობენ აგრეთვე, რომ ასკიტმა მხოლოდ იმ პირობით უნდა იკისროს სამინისტროს მეთაურობა, თუ მეფე იმედს მისცემს ამ ბრძოლას ბოლომდე ხელი არ შეუშალოს; თუ ასე არ მოვიქცევით, ლიბერალების სახელი ძლიერ დაეცემა და ლიბერალებისა, მუშებისა და ირლანდიელ ნაციონალისტების კავშირი დაირღვევაო. ხოლო ზომიერ ლიბერალებს ეშინიათ, ვაი თუ მეფემ არ მისცეს ასეთი პირობა ასკვიტს და უნიონისტებს მეთაურს ბალფურს შეადგენინოს სამინისტრო. მართალია მისი სამინისტრო მალე დაეცემა, მაგრამ დაინიშნება ახალი არჩევნები და ვაი თუ კონსერვ ტორებმა გაიმარჯვონ ამ ახალ არჩევნებშიო.

## რუსეთი

**თავის დაწვა.** „რეჩს" ვილნოდან ატყობინებენ: ამ დღეებში საგუბერნიო სატუსაღოში საშინელი ამბავი მოხდა. თავი დაიწვა უცნობმა, რომელიც რევოლვერი ესროლა გენერალ პენგის. უცნობს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. განსვენებულმა სასამართლოშიაც კი არ განაცხადა თავისი გვარი და სახელი. საქმე ასე მომხდარა: საღამოთი მორიგ ზედამხედველს უცნობის ოთახში ლამფა შეუტანია და წასულა. ცოტა ხ.ნს შემდეგ უცნობს ჩაუცვამს რაც კი რამ ტანისამოსი ჰქონია, გადაუსხამს ნავთი და ცეცხლი წაუკიდებია. ერთ წამშივე უცნობი ალში გახვეულა და ოთახი ბოლით გავსილა. ამისთვის ყურადღება მიუქცევია მორიგ ზედამხედველს და ოთახში შევარდნილა. მას საშინელი სურათი უნახავს. ზედამხედველს ამხანაგებისთვის დაუძახია საშველად. ზედამხედველებს კარში გ.მოუთრევიათ ალში გახვეული, ცოცხალმკვდარი უცნობი და როგორც ყოფილა ცეცხლი გაუქრიათ. უცნობი ხელად საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გვიან ღა იყო. სახე საშინლად დასახიჩრებული ჰქონდა, მისი გულიდან ერთი ოხვრაც არ ამოხდენილა, ისე გარდაიცვალა. უცნობი მეორე დღეს უნდა ჩამოეხრჩოთ.

**უნდა ვიცოდე რისთვის.** როგორც მკითხველს მოეხსენება, წარსულ წლის დეკემბერში პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა 100 მანეთით დააჯარიმა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პრედკალნი. „რანნეე უტროს" სიტყვით ამ დღეებში პრედკალნს მოწერილობა მიუღია, ჯარიმა გადაიხადეო. პრედკალნს ეს ქაღალდი უკან დაუგზავნია და ზედ წაუწერია, საპიროა ვიცოდე რისთვის დამაჯარიმესო და შემდეგ რიგაში წასულა, მაგრამ აქაც მიუღია ქაღალდი. პრედკალინს ეს ქაღალდიც უკან დაუბრუნებია, გაუმეორებია თავისი თხოვნა და დაუმატებია: „როგორც სჩანს დეპუტატებსაც ისე ატყობინებენ დაჯარიმების ამბავს, როგორც მეეტლეებს, ხუთი მანეთით დავაჯარიმეთო".

**მემარჯვენეთა გადაწყვეტილება.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციის გადაუწყვეტია. ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს ყველაფერში მხარი დაუჭიროს მემარცხენეებს და მით კანონპროექტს ისეთი სახე მისცეს, რომელსაც სახელმწიფო საბჭო ვერ მიიღებს.

**მოწოდება ფინლიანდიის სასარგებლოდ.** დეპეშებიდან ვიცით, რომ გერმანელმა პროფესორებმა ფინლიანდიის სასარგებლო მოწოდება გამოუშვეს. „რეჩ"-ის სიტყვით, ასეთივე მოწოდება გამოუციათ ჰოლანდიის უნივერსიტეტების პროფესორებს. მოწოდება ფრანგულ ენაზედ არის დაწერილი. პროფესორები ვრცლად ეხებიან რუსეთ-ფინლიანდიის დამოკიდებულებას და პროტესტს აცხადებენ ფინლიანდიის ავტონომიის დარღვევის წინააღმდეგ.

**დეპუტატის ნალაპარაკევი.** ამ დღეებში ხარკოვის გუბერნიიდან პეტერბურგში ჩასულა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თავადი გოლიცინი. გოლიცინს, სხვათა შორის, უთქვამს: ყოვლად წარმოუდგენელია ის უკმაყოფილება სათათბიროსადმი, რომელიც პროვინციაშია გამეფებული. ასე წარმოიდგინეთ, ადმინისტრაციაც კი უკმაყოფილოა, საქმე იქამდის მივიდა, რომ შავრაზმელების და ბნელ ძალების სურვილისამებრ უნდა ვიმოქმედოთო.

**სინოდი და კრემატორიები.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სინოდმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეატყობინა, პრინციპიალურად წინააღმდეგნი არა ვართ კრემატორიებისა (კრემატორია —სადაც მიცვალებულების გვამებს სწვავენ), მაგრამ საეკლესიო კანონებისა და ეკლესიის წინააღმდეგად მიგვაჩნია, მართლმადიდებლის დაწვა, ამიტომ წინააღმდეგნი ვართ მიცვალებულის დაწვისა, თუნდაც მართლმადიდებელმა სიკვდილის წინ ანდერძიც კი დასტოვოს ამის შესახებო.

**პროტესტის გამოცხადება.** „რეჩს" პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ: პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები მალე გამოაქვეყნებენ პროტესტს მაქსიმ კოვალევსკის დასჯის წინააღმდეგ. კოვალენსკის სასამართლომ გაზეთ „სტრანას" რედაქტორობისთვის დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ახალი უნივერსიტეტის ბედი.** განზრახული იყო ჩრდილოეთ-დასავლეთ რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში უნივერსიტეტი უნდა გაეხსნათ. სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ საერო განათლების მინისტრმა ხელი შეუშალა ამ განზრახვასო.

**რეფორმა** საერო განათლების მინისტრს გადუწყვეტია, სამოსწავლო ოლქების რეფორმა მოახდინოს. სხვათა შორის, გააუქმებენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველების ადგილებს.


## განცხადებანი

**შემთხვევით იყიდება**

იაფად ფეხსაცმელის მაღაზიის და სახელოსნოს სრული მოწყობილება. მოსკოვის ქ. № 24. ჰკითხეთ მეეზოვეს. (1—1)

კიროველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ბ. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. მარცინოვსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—250)

„დროების" რედაქციაში

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზედ

„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოც. მხრით".

**შინაარსი წიგნისა:**

**წინასიტყვაობა:** „ეროვნული საკითხი" და სოციალიზმი.
**თავი პირველი:** რა არის საზოგადოება?
**თავი მეორე:** არსებობს, თუ არა, კაცობრიობა და როგორ?
**თავი მესამე:** ერი და საზოგადოება.
**თავი მეოთხე:** საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეხუთე:** ხალხი, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეექვსე:** ერი.
**თავი მეშვიდე:** საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა.
**თავი მერვე:** სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
**თავი მეცხრე:** ერის უფლება.
**თავი მეათე:** შედარებითი ღირსება ერთა.
**თავი მეთერთმეტე:** „ფონდი" კაცობრიობისა, შესაძლებელი მომავალი.
**თავი მეთორმეტე:** განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კონკრეტული საზოგადოებანი.
**თავი მეცამეტე:** ერის თეორიები.
**თავი მეთოთხმეტე:** ქართველი ერი.
**თავი მეთხუთმეტე:** დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.

ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურთან, **ოდესაში**—არჩ. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ელენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმერეთი" ის. კვაცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების" კანტორაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ავალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.

ხელის მოწერა მიიღება 1 **თებერვლამდე** (უკანასკნელი ვადა)

აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწერთა წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი.** გასაყიდად ექვსი აბაზი.

(4—300—4) გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

**იბეჭდება და პირველ თებერვალს გამოვა**

**მ ე ო რ ე ნ ო მ ე რ ი**

პედაგოგიურ სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ

**განათლებისა**

**შემდეგის შინაარსით:** 1. აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშო წიგნებისა. 2. სწავლა-აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ., **სამ. ცომაიასი.** 3. **მთას,** (ლექსი), **ვაჟა-ფშაველასი.** 4. მკვდარი სკოლა, (მოთხრობა) კ. ა—ძისა. 5. სიმღერა, (ლექსი) ლ. გეგეჭკორისა. 6. **სულა და ღმერთები,** (ლეგენდა) **ბაჩანასი.** 7. ქართული ენის პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 8. დედა-ენა, (უშინსკიდან). 9. **მესსიანიზმი პოლონურსა და ქართულს მწერლობაში, ალ. ხახანაშვილისა** 10. შინაური მიმოხილვა, Katti-სა. 11 სულით ავადმყოფ დამცველ-საზოგადოებათა კრება, (წერილი პეტერბურგიდან), ლ. ლ. გეგეჭკორისა. 12. სახალხო მასწავლებელი ინგლისში. 13. ზრუნვა მოწაფეთა ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთში. 14. სინემატოგრაფი და მისი მნიშვნელობა სწავლებაში. 15. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 16. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მან. **ცალკე ნომრები იყიდება მხოლოდ ტფილისში.** ვისაც წინაწლებში გადახდილი ჰქონდა 5 მანეთი, იმათ ჟურნალი წელსაც ეგზავნებათ; ვისაც პირველი ნომერი გაეგზავნა, ფული არ შემოუტანი და არც არაფერი უცნობებია რედაქციისათვის, მეორე ნომერი არ გაეგზავნება.

**მისამართი**—Тифлисъ. Дворянская грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.

(3—3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით—„**ხეცესია**", რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. საშუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი შემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-გებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბედოდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

| Парижъ<br>PARIS | 7 | S. Strumfeld<br>B-ard St. Marcel 76 |
|---|---|---|

**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კატალოგს მეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ.

(Мотцль и К°. N 247). (8—6.—5)



Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „**სისტემა ზინგერ**"-**ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—101)